

დამტკიცებითი თანხმობის განმარტება

დამტკიცებითი თანხმობა არის ყველა მონაწილის გაცნობიერებული, ნებაყოფლობითი და ერთობლივი გადაწყვეტილება, ჩაერთოს სექსუალურ აქტივობაში. თანხმობის მიცემა შეიძლება სიტყვიერად ან მოქმედებით, თუ ეს სიტყვები ან ქმედებები წარმოადგენს მკაფიო ნებართვას სექსუალურ აქტივობაში ჩართვის სურვილთან დაკავშირებით. დუმილი ან წინააღმდეგობის არარსებობა, თავისთავად, არ გამოხატავს თანხმობას. თანხმობის განმარტება არ იცვლება მონაწილის სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან გენდერული თვითგამოხატვის მიხედვით.

რაიმე სექსუალურ აქტზე ან წინასწარ შეთანხმებულ სექსუალურ აქტივობაზე თანხმობა მხარეებს შორის ან რომელიმე მხარესთან, არ გულისხმობს აუცილებლად ნებისმიერ სხვა სექსუალურ აქტზე დათანხმებას.

თანხმობა საჭიროა მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა აქტის ინიციატორი პირი პირი, რომელიც იწყებს აქტს, არის თუ არა ნარკოტიკის და/ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ.

შესაძლებელია თავდაპირველად თანხმობის მიცემა, მაგრამ შემდეგ ნებისმიერ დროს მისი უკან წაღება.

შეუძლებელია თანხმობის მიცემა, თუ პირს შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, რაც მაშინ ხდება როცა ადამიანს არ შეუძლია შეგნებულად აირჩიოს სექსუალურ აქტივობაში მონაწილეობა. ქმედუნარობა შეიძლება გამოწვეული იყოს აზროვნების დარღვევით ან ჩადინებით, იძულებით დაკავებით ან თუ ადამიანი სხვაგვარად არ თანხმდება. ინტოქსიკაციის დონის მიხედვით, პირი, რომელიც არის ალკოჰოლის, ნარკოტიკების ან სხვა თრობის საშუალების ზემოქმედების ქვეშ, შეიძლება ჩაითვალოს ქმედუნაროდ და, შესაბამისად, ის ვერ შეძლებს თანხმობის მიცემას.

შეუძლებელია თანხმობის მიცემა, თუ ასეთი თანხმობა არის რაიმე სახის იძულების, დაშინების, ძალდატანების ან ზიანის მიყენების მუქარის შედეგი.

როდესაც თანხმობა უარყოფილია ან როდესაც შეუძლებელია თანხმობის მიცემა, სექსუალური აქტივობა უნდა შეჩერდეს.

ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების გამო დაკისრებული ჯარიმებისგან გათავისუფლება

თითოეული სტუდენტის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება Rockland Community College განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. RCC აღიარებს, რომ სტუდენტებმა, რომლებიც სვამდნენ ალკოჰოლს და/ან იყენებდნენ ნარკოტიკებს (იმის მიუხედავად, ეს გამოყენება ნებაყოფლობითი იყო თუ იძულებითი), როდესაც აღნიშნულ ძალადობას ჰქონდა ადგილი, ოჯახური ძალადობის, პაემნებზე ძალადობის, ფსიქოლოგიური ტერორის ან სექსუალური ძალადობის ჩათვლით, შეიძლება თავი შეიკავონ ამგვარი ფაქტების დაფიქსირებისაგან საკუთარი ქცევისთვის პოტენციური შედეგების შიშის გამო. RCC დაჟინებით მოუწოდებს

სტუდენტებს, მიაწოდონ ოჯახური ძალადობის, პაემნებზე ძალადობის, ფსიქოლოგიური ტერორის ან სექსუალური ძალადობის ფაქტები დაწესებულების მოხელეებს. თვითმხილველის კეთილსინდისიერად მოქმედება ან ცალკეული ქმედების აღწერა, რომელიც ამხელს ოჯახური ძალადობის, პაემნებზე ძალადობის, ფსიქოლოგიური ტერორის ან სექსუალური ძალადობის შემთხვევებს RCC ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის ან სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის, არ ექვემდებარება RCC's ქცევის კოდექსის მოქმედებას ალკოჰოლის და/ან ნარკოტიკების გამოყენების პოლიტიკის დარღვევისთვის, რასაც ადგილი აქვს ოჯახური ძალადობის, პაემნებზე ძალადობის, ფსიქოლოგიური ტერორის ან სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს.

სტუდენტის უფლებები

ყველა სტუდენტს უფლება აქვს:

მიაწოდოს ანგარიში ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურას და/ან შტატის პოლიციას:

გაამხილოს ოჯახური ძალადობის, პაემნებზე ძალადობის, ფსიქოლოგიური ტერორის ან სექსუალური ძალადობის შემთხვევები;

მიიღოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, გაამხელს თუ არა დანაშაულს ან ძალადობის ფაქტს და მონაწილეობას მიიღებს სასამართლო ან მოქმედების პროცესში და/ან სისხლის სამართლის სასამართლო პროცესში, ინსტიტუტის მხრიდან ყოველგვარი ზეწოლის გარეშე;

მონაწილეობა მიიღოს სამართლიან, მიუკერძოებელ პროცესში, რომელიც უზრუნველყოფს სამკარის ყურადღებას და მნიშვნელოვან შესაძლებლობას, რომ მოუსმინონ;

მოეპყრან ღირსეულად და დაწესებულებისგან მიიღოს თავაზიანი, სამართლიანი და ღირსეული ჯანდაცვისა და საკონსულტაციო მომსახურება, საჭიროების მიხედვით;

თავისუფალი იყოს ნებისმიერი ზეწოლისგან, რომ ამგვარი ფაქტების აღმწერი პირი დამნაშავეა, როდესაც ხდება დანაშაულებრივი ან ძალადობის ფაქტები, ან რომ ის სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო იმისათვის, რომ თავიდან აერიდებინა აღნიშნული შემთხვევები;

აღუწეროს აღნიშნული შემთხვევები დაწესებულების რამდენადაც შესაძლებელია ნაკლებ წარმომადგენელს და არ მოსთხოვონ მას ამ ფაქტების განმეორებით აღწერა.

დაცული იყოს ინსტიტუტის, რომელიმე სტუდენტის, ბრალდებულის და/ან მოპასუხის, და/ან მათი მეგობრების, ოჯახის ან ნაცნობების მიერ შურისძიებისაგან დაწესებულების იურისდიქციის ფარგლებში;

წვდომა ჰქონდეს გადაწყვეტილების გასაჩივრების სულ მცირე ერთ დონესთან.

თან ახლდეს შესაფერისი კურატორი, რომელიც დაეხმარება და რჩევას მისცემს მომხსენებელ პირს, ბრალდებულს ან მოპასუხეს სასამართლო ან მოქმედების პროცესის დროს, ასევე აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებულ ყველა შეხვედრაზე და მოსმენაზე;

განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და რელიგიური პრაქტიკა საგამომძიებლო, სისხლის სამართლის ან ინსტიტუტის სასამართლო ან მოქმედების პროცესის ჩარევის გარეშე.

უფლებები მოქმედებს რასის, ფერის, ეროვნული წარმომავლობის, რელიგიის, მრწამსის, ასაკის, ქმედუნარიობის, სქესის, გენდერული იდენტობის ან თვითგამოხატვის, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის, ორსულობის, გენეტიკური მახასიათებლებისკენ მიდრეკილების, სამხედრო სტატუსის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის ან ნასამართლეობის მიუხედავად, ასევე იმის მიუხედავად, დანაშაული ან ძალადობა მოხდა კამპუსში, კამპუსის გარეთ თუ საზღვარგარეთ სწავლის დროს.

თქვენ უფლება გაქვთ წარუდგინოთ ანგარიში უნივერსიტეტის პოლიციას ან კამპუსის დაცვას, ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებს და/ან შტატის პოლიციას ან გადაწყვიტოთ, არ დააფიქსიროთ ეს ფაქტები; მიაწოდოთ თქვენს დაწესებულებას ანგარიში აღნიშნული შემთხვევის შესახებ; დაწესებულებამ უზრუნველყოს თქვენი დაცვა შურისძიებისაგან ამგვარ ფაქტების აღწერის გამო და მიიღოს დახმარება და სხვა რესურსები დაწესებულებისგან.